ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №36

2011 წლის 12 აგვისტო

ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი 69-ე მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **დაადგინა:**

მუხლი 1.

დამტკიცდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების თანდართული წესი. (დანართი №1) და ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა. (დანართი №2);

მუხლი 2.

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების წესის შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 10 ივლისის №15 დადგენილება.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ნ. ბერაძე**

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

ეს წესი განსაზღვრავს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების წესსა და მექანიზმს.

მუხლი 2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების ძირითადი პრინციპები

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნების გადანაწილება საბიუჯეტო ორგანიზაციებს შორის შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის გზით.

2. საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის თანხების გადანაწილება შეიძლება განხორციელდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტისათვის წლიური ბიუჯეტით დამტკიცებული გადასახდელების 5%-ის ფარგლებში, გარდა საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 67-ე და 68-ე მუხლების შესაბამისად გამოყოფილი ასიგნებებისა.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ასიგნებების გადანაწილება საბიუჯეტო ორგანიზაციის საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის, მე-3 მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად, ხორციელდება ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით.

4. ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი საკრებულოს თავმჯდომარის თანხმობის საფუძველზე უფლებამოსილია შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებიდან გამოყოფილი თანხების ასახვის მიზნით, განახორციელოს ცვლილებები (მათ შორის, ორგანიზაციული კოდის დამატება) ბიუჯეტით დამტკიცებულ შემოსულობებსა და გადასახდელებში. ეს ცვლილებები ერთი თვის ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს საბიუჯეტო წლის დასრულებისა, უნდა წარედგინოს საკრებულოს დასამტკიცებლად.

მუხლი 3. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნების გადანაწილების მოთხოვნის წარდგენა, განხილვა და შესრულება

1. საბიუჯეტო წლის განმავლობაში ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების ეფექტურად ხარჯვის მიზნით საბიუჯეტო ორგანიზაცია, ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურს წარუდგენს ბიუჯეტით მისთვის გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების თაობაზე მოთხოვნას. წარდგენილ მოთხოვნაში საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ მოყვანილ უნდა იქნას სათანადო არგუმენტაცია და შესაბამისი დასაბუთება ასიგნებების გადანაწილებისა და მასზე ვალდებულების აღების არარსებობის თაობაზე.

2. დამტკიცებულ ასიგნებათა გადანაწილების შესახებ ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურში წარდგენილ მოთხოვნაზე პასუხის მიღებამდე, საბიუჯეტო ორგანიზაციამ არ უნდა წარადგინოს ვალდებულების დოკუმენტი იმ ასიგნებაზე, რომელთა გადანაწილებაზე არსებობს მოთხოვნა.

3. შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებიდან გამოყოფილი თანხების ასახვის მიზნით ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახური ამზადებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანების პროექტს ამ თანხის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის მიზნით.

4. მოთხოვნა წლიური ბიუჯეტით დამტკიცებულ ასიგნებათა გადანაწილების თაობაზე ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურს წარედგინება წერილობითი სახით იმ საბიუჯეტო ორგანიზაციის, რომლისთვისაც არის მიკუთვნებული ეს გადასახდელები, ხელმძღვანელის ხელმოწერით. საბიუჯეტო ორგანიზაციას ეკისრება სრული პასუხისმგებლობა წერილის შინაარსსა და ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების მიზანშეწონილობაზე.

5. ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახური განიხილავს წარმოდგენილ წერილობით მოთხოვნას და არა უგვიანეს ხუთი სამუშაო დღისა ქობულეთს მუნიციპალიტეტის გამგებელს წარუდგენს შესაბამის წინადადებებს (მოხსენებითი ბარათი) ასიგნების გადანაწილების თაობაზე.

6. ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი საკრებულოს თავმჯდომარის თანხმობის შემთხვევაში, გამოსცემს შესაბამის ბრძანებას, რომლის საფუძველზე საფინანსო სამსახური ამზადებს ცვლილებას საბიუჯეტო ორგანიზაციისათვის ბიუჯეტით გამოყოფილი წლიური ასიგნების ფარგლებში თანხის ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის გადანაწილების შესახებ.

7. წლური ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებები ზუსტდება ამ წესით გათვალისწინებული „ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობით“ (დანართი № 2). ცნობა დგება სამ ეგზემპლარად, რომლის პირველი ეგზემპლარი რჩება ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურის ბიუჯეტის აღრიცხვის, დაგეგმარებისა და ფორმირების განყოფილებას, მეორე გადაეცემა საფინანსო სამსახურის ხაზინის განყოფილებას, ხოლო მესამე ეგზემპლარი ეგზავნება შესაბამის საბიუჯეტო ორგანიზაციას.

8. ,,ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობით“ ასევე შესაძლებელია დაზუსტდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდით გათვალისწინებული ასიგნება. ამ შემთხვევაშიც წლიური გეგმის დაზუსტება და ასიგნების გაცემა ხორციელდება ამ წესის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად.

დანართი №2

ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახური
ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა №

20----- წლის ----- ----------

_____
(საბიუჯეტო ორგანიზაცია, ორგ. კოდი)

_____
(ცვლილების საფუძველი, თარიღი, ნომერი)

_____
(ცვლილების შინაარსი)

(ლარებში)

ორგანიზ. კოდი	ორგანიზაციის, პროგრამის ან ღონისძიების დასახელება	საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლის დასახელება	ცვლილება (+ზრდა/-კლება)				
			წლიური თანხა	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.
სულ ჯამი							

1. დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნება
2. სარეზერვო ფონდი
3. წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა
4. დანარჩენი ცვლილება

საფინანსო სამსახურის უფროსი:

ბიუჯეტის აღრიცხვის, დაგეგმარებისა და ფორმირების
განყოფილების უფროსი: